ქვეყანაზედ რა მოვლენა რას მომაგონებს

(1886 წელი)

რას მომაგონებს მოღრუბლული, გაშავებული ცა, რომელიდამაც ელვა გამოვარდება, მოდის წვიმა, ხან სეტყვა, ხშირად მეხიც ჩამოვარდება და კაცს ზიანს აძლევს; ცხოველები თრთიან, მცენარეთაც კანკალი აიტანს, ბუნება გამტკნარებული, სულგანაბულია?

ეს მოვლენა მომაგონებს გამბედავს, სიმართლის მოყვარულს კაცს, რომელიც მართალს მეხსავით თავს დასცემს ხოლმე; ის ბევრს აწყენინებს, მაგრამ მისი სიტყვა კაცობრიობის წყლულს მალამოდ დაედება, მისი სიტყვა გააღვიძებს კაცობრიობის გულს, როგორც წვიმა გამხმარ დედა-მიწას.

რას მომაგონებს ლეში, რომელიც ასუნებული ძევს, ძაღლები, მგლები, მელები, ათასნაირი ფრინველი და ცხოველი სჭამენ ტკბილად? ლეშს არ შეუძლიან დაიყვიროს; თავი დამანებეთ, ნუ შემჭამეთო, წინააღმდეგობას ვერავის გაუწევს?

ლეში მომაგონებს იმ დროს, როდესაც ის იყო ცოცხალი, სასიამოვნო სანახავი, ამაყი, თავმოყვარე, მაშინ წუწკი ცხოველი შეჭმას ვერ გაუბედავდა. მომაგონდება რა ეს, ტირილი მომინდება, თვალში ცრემლი მოიწევს.

რას მომაგონებს არწივი, როდესაც იგი ცაში ტრიალებს, დაინახავს თუ არა კაკაბს, დაიხულუზნებს, დაეცემა საბრალოს, წაიღებს, დაჯდება კლდის თავზედ და შესჭამს?

ეს მოვლენა მომაგონებს იმ შეურყეველ ბუნების კანონს, რომლის გამო, მანამ არწივი და კაკაბი არიან, კაკაბი მუდამ სანადირო იქნება არწივისა.

რას მომაგონებს ვილლიამ პიტტის სიტყვა, რომელიც იყო მიმართული ინგლისის პარლამენტის წევრებისადმი: ,,თქვენი წინაპარნი რკინის ბარონები იყვნენ, თქვენ კი აბრაშუმისები დამხდარხართო?“

ეს სიტყვა მომაგონებს ჩვენს თავადაზნაურობას.

რას მომაგონებს უნამუსო დედაკაცი, რომელიც ერთს სიყვარულის საგანს ,,ვერ დააჯერებს გულს“ და მრავალს ეძებს?

იგი მე ცხოველებში არაფერს მომაგონებს. იგი უფრო მომაგონებს უსულო საგანს, - ჭილობის ნაგლეჯს, რომელიც შესავალ კარებში გდია და შემავალ - გამომავალი, ვინც უნდა, ფეხს იწმენდს.

რას მომაგონებს ერთი ვიზანტიის მწერალთაგანი მიხელ პსალლი, რომელსაც გრძელი მოთხრობა დაუწერია ერთს ეშმაკზე: იგი ამბობს, რომ ამ ეშმაკმა სომხური ენაც კი იცოდაო, იქამდის განვითარებული და განსწავლული იყოვო?

მიხელ პსალლის ეშმაკი მომაგონებს XIX საუკუნის ეშმაკებს, რომელთაც ქართულიც საეშმაკოდ შეისწავლეს, მეცნიერება - პსალლის სისულელეზე. ეშმაკი რის ეშმაკია, თუ კი ყველა ენები არ ეცოდინება?.. სომხური ენა განა ისეთი ძნელი შესასწავლია, რომ ეშმაკს გაუჭირდეს? ეშმაკი ყველა ენაზე ლაპარაკობს, არა მარტო ევროპულ ენაზე, არამედ ჩინეთურზედაც, იმიტომ კი არა რომ სარგებლობა მოუტანოს ვისმე; იმას ყველგან თავის ეშმაკობის გაყვანა უნდა; ეშმაკობის

გასაყვანად რომელიმე ქვეყანაში იქნება თუ ცალკე პირთან, იმ ქვეყნის, ან კაცის ენის ცოდნა არის საჭირო... თუ კი ვერ გაიგებს კაცი ეშმაკის მეცნიერებას, ეშმაკობას საით ისწავლის?!

რას მომაგონებს ცხოვრება? საზოგადოდ ყველანი ცხოვრებას ზღვას ამსგავსებენ. ვის არ გაუგონია რომ ერთი მეორეს ჰკითხავდეს: ,,ცხოვრების ტალღებმა ხომ არ გაგიტაცეს, შეგმუსრესო?"

მე ცხოვრება ზღვას არ მომაგონებს, არამედ კუზიანს ბრმას, ჯოხზე დაბჯენილს მთხოვარა ბებერს, რომლისთვისაც ხელი - ხელში ჩაუჭიდნია ბალღს და ატარებს კარი - კარს: „გაიკითხეთ ღვთის გულისთვის ბრმა უსინათლო".

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

თბილისის მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლემ **თათია ჭიღლაძემ**